

როგორ შეგიძლიათ შეამციროთ ნარჩენი:

მაღაზიაში:

- შეიძინეთ პროდუქტი, რომლის გადამუშავებაცაა შესაძლებელი ან დამზადებულია ბიოდეგრადირებადი მასალისგან
- შეიძინეთ ეკონომიურად შეფუთული პროდუქტები
- შეიძინეთ მრავალჯერადი მოხმარების კონტეინერები
- თან იქონიეთ მრავალჯერადი მოხმარების ქსოვილის ჩანთები და უარი თქვით პოლიეთილენის პარკებზე
- შეიძინეთ მხოლოდ ის, რაც გჭირდებათ ან იცით, რომ ნამდვილად გამოიყენებთ (საკვების ჩათვლით)

სახლში:

- გამოიყენეთ ენერგოეფექტური ნათურები და დასატენი ელემენტები
- ხელახლა გამოიყენეთ პოლიეთილენის პარკები
- შეაგროვეთ ქაღალდი შემდგომი გადამუშავების მიზნით
- არ გადაადგოთ არაფერი, რისი შეკეთებაც ან ხელახალი გამოყენებაცაა შესაძლებელი
- შეეცადეთ, შეაკეთოთ მოძველებული ელექტრომოწყობილობები, რათა შეძლოთ მისი კვლავ გამოყენება
- ამობეჭდეთ ქაღალდი ორივე მხარეს, რათა შეამციროთ ზედმეტი ქაღალდის გამოყენება
- მოახდინეთ თქვენი საკვების და ეზოში დაგროვილი ნარჩენების კომპოსტირება